პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნაძვების ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ნაძვების II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, წყნეთში, ნაძვების ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ნაძვების II შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:475915 Y:4617037
ნაძვების II შეს
ნაძვების II შეს
X:476045 Y:4616891
X:475965 Y:4616844

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მცხ:ქ.თბილისის, დაბა წყნეთი ე.წ."ნუშის
ბაღები"
მოქ: ნაირა ხიზანიშვილი პ.ნ.01015002031
ნატო შენგელი და სხვები სამეზობლოს
სახელით
ტელ:599222620
ელ.ფოსტა:khizanishvilinaira@gmail.com

მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობთ მისამართზე ქ.თბილისის, დაბა წყნეთი ე.წ."ნუშის ბაღები" ჩვენს უბანში 2023 წლის 11 აპრილს განკარგულება N146-ით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. შემდეგი საკადასტროებისთვის:01.20.01.010.333; 01.20.01.010.334; 01.20.01.010.069; 01.20.01.010.024; 01.20.01.10.119; 01.20.01.010.199; 01.20.01.010.201; 01.20.01.010.202; 01.20.01.010.222; 01.20.01.010.280; 01.20.01.010.498 გთხოვთ, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ უსახელო ქუჩას და ჩიხს მიანიჭოთ სახელი.

დანართი:1. სატრანსპორტო სქემა.
2.1 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

განმცხადებელია; / ნაირა ხიზანიშვილი/
/ნატო შენგელია/

26.09.2024წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 146

„11" აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში" (ნაკვ.№68, №68ა, №68ბ, №68გ, №71, №72, №77, №83, №93); ბაგების სატყეო ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.20.01.010.333; №01.20.01.010.334; №01.20.01.010.069; №01.20.01.010.024; №01.20.01.010.119; №01.20.01.010.199; №01.20.01.010.201; №01.20.01.010.202; №01.20.01.010.222; №01.20.01.010.280; №01.14.09.023.002; №01.20.01.171.011-ის ნაწილი; №01.20.01.010.498-ის ნაწილი; №01.20.01.171.010-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განამენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განამენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 5 აპრილის №23.446.508 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღებში" (ნაკვ.№68, №68ა, №68ბ, №68გ, №71, №72, №77, №83, №93); ბაგების სატყეო ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.20.01.010.333; №01.20.01.010.334; №01.20.01.010.069; №01.20.01.010.024; №01.20.01.010.119; №01.20.01.010.199; №01.20.01.010.201; №01.20.01.010.202; №01.20.01.010.222; №01.20.01.010.280; №01.14.09.023.002; №01.20.01.171.011-ის ნაწილი; №01.20.01.010.498-ის ნაწილი; №01.20.01.171.010-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განამენიანების რეგულირების გეგმის პროექტი" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01230132693-67 (№01230452915-67; №01230612827-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.



2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430516**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნაირა ხიზანიშვილის 2024 წლის 30 სექტემბრის საქმე #19/032427170-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს წყნეთში, უსახელო ტერიტორიის სახელდებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ მოქალაქის მიერ განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული გზის სიტუაციური ნახაზი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243121179**
თარიღი: **07/11/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 31.10.2024 წლის #03-032430516 (31.10.2024 წ. #14-01243051982-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი